



## საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს და სოფლის მეურნეობის მინისტრი

### ბრძანება N 2-974

11/10/2019

ქ. თბილისი

#### გარდაბნის მუნიციპალიტეტში სოფ. მარტყოფის ტერიტორიაზე [REDACTED] წყალსაცავის ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით [REDACTED] მიერ წარმოდგენილია სოფ. მარტყოფის ტერიტორიაზე წყალსაცავის ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

საქმიანობა ხორციელდება გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარტყოფის ტერიტორიაზე [REDACTED] თანასაკუთრებაში არსებულ 375572 კვ.მ. ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 81.10.00.358), სადაც მოწყობილია 12 000 მ<sup>3</sup> მოცულობის წყალსაცავი.

სამინისტროს მიერ 2017 წლის 12 ოქტომბერს (ბრძ. №691) გაიცა გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. მარტყოფის ტერიტორიაზე [REDACTED] წყალსაცავის მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების 12.10.2017. აღნიშნული გადაწყვეტილებით საქმიანობის განმახორციელებელს განესაზღვრა პირობების გეგმა-გრაფიკით დადგენილ ვადებში შესრულება. [REDACTED] უზრუნველყო ზემოაღნიშნული პირობების შესრულება (01.08.2018. N6693/01), რაც დადასტურდა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ. აღნიშნულის თანახმად [REDACTED] წყალსაცავის ექსპლუატაციის გზმ-ს ანგარიში წარმოდგენილ იქნა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით [REDACTED] წყალსაცავის ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე. საზოგადოების მხრიდან არ წარმოდგენილა წერილობითი მოსაზრებები და შენიშვნები აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით.

ნაკვეთი მდებარეობს მდ. ლოჭინის მარცხენა სანაპიროზე, მისგან 1,5 კმ მანძილზე. ტერიტორიის ირგვლივ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებია. წყალსაცავი განთავსებულია დაუსახლებელ ტერიტორიაზე, უახლოესი დასახლებული პუნქტია სოფ. სააკაძე. მანძილი უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე 1,9 კმ-ია. საკვლევი ტერიტორია წარმოადგენს ყოფილი ფერმის ტერიტორიას, ხოლო არსებული წყალსაცავი ფუნქციონირებს მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან. იგი გამოიყენებოდა როგორც ყოფილი ფერმის სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგებისათვის, ასევე თევზის

მეურნეობისათვის. ამჟამად დაგეგმილია აღნიშნული წყალსაცავის გამოყენება 10 ჰა ფართობზე გაშენებული ნუშის ბაღების მოსარწყავად. ნუშის ბაღების მოსარწყავად წყლის ხარჯვა მოხდება გაზაფხულზე, ზაფხულში და შემოდგომის პირველ ნახევარში.

როგორც გზმ-ის ანგარიშშია აღნიშნული ტერიტორიაზე წყალსაცავისთვის მოწყობილია საექსპლუატაციო გზები, ქვიშა ხრეშოვანი გრუნტის. საწარმოს კეთილმოწყობის ღონისძიებებში გათვალისწინებულია წყალსაცავთან მისასავლელი არსებული გზების მოხრეშვა.

გზმ-ს ანგარიშში მოცემული ინფორმაციით, ტერიტორიაზე მიმდინარეობს წყალსაცავის აუზის და წყლის გამტარი არხის გაწმენდისა და კეთილმოწყობის სამუშაოები.

წყალსაცავი კალაპოტის მორფოლოგიური ხასიათის მიხედვით განეკუთვნება ქვაბულის ტიპის წყალსაცავს; შევსების მეთოდის მიხედვით- ჩასასხმელი ტიპის წყალსაცავს; გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით - ვაკის წყალსაცავს; მდინარის ჩამონადენის რეგულირების მიხედვით- სეზონური რეგულირების წყალსაცავს.

წყალსაცავის წყლის სრული მოცულობა 13 500 მ<sup>3</sup> -ია, აქედან სასარგებლო მოცულობაა 12 000 მ<sup>3</sup>. წყლით მაქსიმალური შევსების პერიოდში წყალსაცავის სარკის ზედაპირის ფართობი შეადგენს 6 ათას მ<sup>2</sup> -ს. წყალსაცავის მაქსიმალური სიგრძე 155 მ-ია, მაქსიმალური სიგანე 77 მ-ია, ხოლო მინიმალური სიგანე 22 მეტრი. წყალსაცავის ნორმალური შეტბორვის ნიშნული-674 მ (ზ დ). წყალსაცავის საშუალო სიღრმე 2,4 მ, მაქსიმალური სიღრმე 4,0 მეტრი.

წყალსაცავის წყალმომარაგებისათვის წყალაღება ხდება სამგორის ზემო მაგისტრალური სარწყავი არხიდან ხელოვნურად გაყვანილი არხის მეშვეობით. წყალაღების ადგილიდან წყალი მილსადენებით მიედინება საავტომობილო გზამდე. მიწისქვეშ განთავსებული მილსადენები კვეთს საავტომობილო გზას და უერთდება თანასაკუთრებაში არსებულ 375572.00კვ.მ. ფართობის სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 81.10.00.358) გამავალ ღია წყლის გამტარ არხს, რომელიც საბოლოოდ უერთდება საკვლევ წყალსაცავს.

წყალსაცავის დანიშნულებას წარმოადგენს 10 ჰა ფართობზე გაშენებული ნუშის ბაღების მორწყვა. წყალსაცავში წყლის აკუმულაციის დაწყება დაგეგმილია სექტემბერ-ოქტომბრის თვეებში. მოსარწყავად წყლის გამოყენება მოხდება გაზაფხულზე, ზაფხულში და შემოდგომის პირველ ნახევარში. აღნიშნულის გათვალისწინებით წყალსაცავში წყლის აკუმულაცია მოხდება სეზონურად.

წყალსაცავი მდებარეობს ზღვის დონიდან 674 მეტრზე, რის გამოც იგი გამოირჩევა შედარებით ზომიერი კლიმატური პირობებით. ტბორების ზედაპირი გაყინვას იწყებს ნოემბრის თვიდან და ყინულის საფარი აღწევს 10-15 სანტიმეტრს. ყინულის სრული დნობა ხდება მარტი-აპრილის თვეებში. აღნიშნული წყალსაცავი გაუყინავი იქნება მხოლოდ 8 თვის განმავლობაში.

წყალსაცავის ოპერირება წყალსაცავიდან წყლის გადინებას არ ითვალისწინებს.

როგორც გზმ-ს ანგარიშშია აღნიშნული დასაქმებული პერსონალის რაოდენობისა (5 ადამიანი) და სამუშაო რეჟიმის გათვალისწინებით (წელიწადში მიახლ 264 დღე) სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით წყლის რაოდენობა იქნება:  $5 \cdot 25 \cdot 264 = 33\ 000$  ლ/წელ ანუ  $33,0$  მ<sup>3</sup>/წელ. წყალმომარაგება სასმელ-სამეურნეო მიზნით მოხდება ტერიტორიაზე შემოტანილი წყლით.

გზმ-ს ანგარიშის მიხედვით სამგორის ზემო მაგისტრალური სარწყავი არხიდან ბუნებრივი შემონადენის მიახლოებითი მოცულობა იქნება 12 000 მ<sup>3</sup> წელიწადში. წყალსაცავიდან საშუალოდ წლიურად აორთქლდება 4,62 ათასი მ<sup>3</sup> წყლის მოცულობა.

წყალსაცავის ფსკერის რელიეფი ქვიანია და ძირითადად სწორი. წყალსაცავის შევსებაში მონაწილე ზემო მაგისტრალური სარწყავი არხი ხასიათდება მყარი ნატანის მცირე რაოდენობით. არხის შესართავში და წყალსაცავში მყარი ნატანის დაგროვება ხდება მცირე რაოდენობით, რის გამოც წყალსაცავის წყლის სასარგებლო მოცულობის მნიშვნელოვანი შემცირება მოსალოდნელი არ არის და წყალსაცავი გარეცხვას არ საჭიროებს.

გზმ-ს ანგარიშის მიხედვით საწარმოს ტერიტორიაზე დაგეგმილია ელექტროენერჯის მიწოდების მიზნით საკუთარი 50 კვტ სიმძლავრის სატრანსფორმატორო ქვესადგურის მოწყობა (ენერგო - პრო ჯორჯიასათან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად).

გზმ-ს ანგარიშით დაგეგმილია თევზსაშენის მოწყობის მიზნით შესაბამისი კვლევების ჩატარება.

წყალსაცავის ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მიახლოებითი რაოდენობაა 3,65 მ<sup>3</sup>/წელ. საყოფაცხოვრებო ნარჩენების დროებით განთავსდება სპეციალურ კონტეინერებში, შემდგომ მისი გატანა მოხდება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. წყალსაცავის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების განთავსება მოხდება მარკირებულ თავდახურულ კონტეინერში. შემდგომ გატანა მოხდება შესაბამისი უფლების მქონე ორგანიზაციის მიერ.

საკვლევ ტერიტორიებზე უკონტროლო რადიოაქტიური წყაროები და რადიოაქტიური დაბინძურება არ გამოვლენილა. საკვლევ ტერიტორია მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმურად აქტიურ ზონას.

გზმ-ს ანგარიშის მიხედვით წყალსაცავის ტერიტორიაზე არ გამოვლენილა მნიშვნელოვანი ჰაბიტატები. ობიექტის მთელი ტერიტორია და მისი შემოგარენი წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო მიწებით, სადაც იზრდება სხვადასხვა სარეველები და მარცვლოვანებთან ერთად მზარდი მცენარეები. საკვლევ ტერიტორიის მიმდებარედ ზედაპირულ წყალსატევებში იქთიოფაუნა წარმოდგენილია მწირი სახით.

გზმ-ს ანგარიშში წარმოდგენილია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედების წყაროები და სახეები, მათი თვისობრივი და რაოდენობრივი დახასიათება და განსაზღვრულია ნეგატიური ზემოქმედების შემცირებისა და თავიდან აცილების გზები; ასევე განხილულია შესაძლო ავარიული სიტუაციები და მათზე რეაგირების გეგმის პრინციპები; წარმოდგენილია გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა და გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები.

წარმოდგენილი გზმ-ს ანგარიშის შეფასების და ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 47-ე მუხლის მე-15 ნაწილისა და ამავე კოდექსის მეორე დანართის მე-9 პუნქტის 9.9 ქვეპუნქტის საფუძველზე,

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. მარტყოფის ტერიტორიაზე [REDACTED] წყალსაცავის ექსპლუატაციაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. [REDACTED] საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, გზმ-ს ანგარიშში წარმოდგენილი სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების შესაბამისად;
4. [REDACTED] ნარჩენების მართვა უზრუნველყოს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად;
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს [REDACTED];
7. ბრძანება ძალაში შევიდეს [REDACTED] მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 კალენდარული დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
9. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში;

ლევან დავითაშვილი



მინისტრი